ელენა აბდულაევა

დოქტორი ელენა აბდულაევა ოქსფორდის უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ნიზამი განჯავის ცენტრის პოსტსადოქტორო პროგრამის მკვლევარია (2021-2022). დოქტორის ხარისხი მიენიჭა კანადის ვატერლოოს უნივერსიტეტში (2020) ნაშრომისთვის "Crafting the Modern Woman in Azerbaijan: Muslim Women, the State, and Modernity, 1900–1939" („თანამედროვე ქალის ჩამოყალიბება აზერბაიჯანში: მუსულმანი ქალები, სახელმწიფო და მოდერნულობა, 1900-1939"), სამაგისტრო ხარისხი კი მოიპოვა ვატერლოოს უნივერსიტეტსა (კანადა) და ბაქოს უნივერსიტეტში (აზერბაიჯანი). ამჟამად ელენა იკვლევს ჯანდაცვისა და მედიცინის როლს კოლონიზატორსა და კოლონიზებულს შორის არსებულ კომპლექსურ ურთიერთობებში. აბდულაევა საბჭოთა ჯანდაცვის სისტემას განიხილავს, როგორც სამხრეთ კავკასიის მუსულმან მოსახლეობაზე კონტროლის ლეგიტიმაციის ინსტრუმენტს 1920-1939 წლებში.